თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 11 აპრილი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი –ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

კახაბერ დალაქიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში №№1,2,5,8,9,13,14,15,17,25 და 33 საბავშვო ბაღების შენობებზე მიშენების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 20000 (ოცი ათასი) ლარი) შესყიდვის შესახებ.

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრის მალხაზ ბასილაძის გამოსვლა იმის თაობაზე, რომ ქალაქ ქუთაისში №№1,2,5,8,9,13,14,15,17,25 და 33 საბავშვო ბაღების შენობებზე მიშენების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №1198. 04.04.2014 წ.) განსაზღვრულ დროში არცერთი კონკურსანტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. შესაბამისად კონკურსი არ შედგა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.
კომისიის წევრმა: მალხაზ ბასილაძემ.

დაადგინეს: 1. ქალაქ ქუთაისში №№1,2,5,8,9,13,14,15,17,25 და 33 საბავშვო ბაღების შენობებზე მიშენების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსი გამოცხადდეს არშემდგარად.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი – კონკურსი ,,არ შედგა".

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

მალხაზ ბასილაძე

კახაბერ დალაქიშვილი

ირაკლი გიორგაძე